პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელ-არმიელი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები:
ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ.
6 თვ—1 მ. 70 კ., 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის
კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ.
6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ.
მე 4-ზე—40 კ.

№ 131 (1126) | ოთხშაბათი, 30 ივნისი 1926 წ. | 131 (1126)

## ღირსეული პასუხი.

საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო პასუხი არ გაეცა იმ საზიზღარი სიცრუისა და ცილისწამების კამპანიისათვის, რომელიც ფართოდ დაიწყეს ამ უკანასკნელ ხანებში ინგლისის კონსერვატორებმა. მით უმეტეს საჭირო გახდა ღირსეული პასუხის გაცემა მას შემდეგ, როდესაც ანტისაბჭოთა კამპანიის ფერხულში ჩაებენ ინგლისის მთავრობის ზოგიერთი წევრები: ჩერჩილი, ბირკენხედი, ჯოინსონ ხიქსი და სხვა.

და საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის სახით არ დააყოვნა ასეთი პასუხით. ინგლისის მთავრობას გადაეგზავნა ცნობა.

ამ ცნობაში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ჩიჩერინი სრულიად აბათილებს ყველა იმ ცილისწამებებს, რომელიც წამოყენებულ იქნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლისის კონსერვატორულ პრესისა და მთავრობის ზოგიერთ წევრების მიერ.

ამასთანავე ცნობა კმაყოფილებით აღნიშნავს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩემბერლენის განცხადებას ინგლის-საბჭოთა სავაჭრო კავშირის შეწყვეტის დაუშვებლობის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მის მიზანს შეადგენს მუდამ კეთილმეზობლური დამოკიდებულება იქონიოს ინგლისთან და მზად არის ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ორივე ქვეყნის ეკონომიურ დაახლოვებას.

და დასძენს:

„მაგრამ საბჭოთა მთავრობას საკმაოდ შეგნებული აქვს საბჭოთა კავშირის მსოფლიო როლი პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში, მისი მნიშვნელობა და ძლიერება და ამიტომ მასზე დიდ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს რომელიმე სხვა მთავრობის ცალკე წევრების მტრული, უაზრო, ტენდენციური და უხეში გამოსვლები, რომელთა მიზანი ეწინააღმდეგება, როგორც ორივე სახელმწიფოს ინტერესებს, ისე საერთაშორისო ურთიერთობის მშვიდობიან განვითარებას“.

კარგი იქნებოდა, რომ ინგლისის სახელმწიფოს შუბლმაგარი მინისტრები კარგად ჩაუკვირდებოდენ და შეიგნებდენ ამ სტრიქონების მთელ მნიშვნელობას. მაგრამ საბჭოთა ქვეყნისადმი სიძულვილით დაბრმავებულ ჩერჩილებს განა რამე მოაჭკუიანებს. ყოველ შემთხვევაში მით უარესი იქნება მათთვის და არა ჩვენთვის. ანტისაბჭოთა პოლიტიკა უფრო მეტ ეკონომიურ ზიანს მიაყენებს თვით ინგლისის გაუმაძღარ კაპიტალისტებს და არა საბჭოთა კავშირს.

ამიტომაც უმჯობესია ინგლისის ხელისუფლებამ ლაგამი მოსდოს თავის თავაშვებულ მინისტრებს და უფრო მეტად იზრუნოს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებაზე, ვიდრე მის დარღვევაზე.

## საბჭ. კავშირის მტრების ცილისწამების წინააღმდეგ.

### სახალხო საგარეო კომისარიატის ცნობა.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლისის მინისტრების ცრუ ბრალდებებით გამოსვლისა და „თეთრი წიგნის“ გამოშვების გამო, სახალხო საგარეო საქმეთა კომისარი იუწყება:

„საბჭოთა მთავრობა კატეგორიულად აცხადებს, რომ საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია ინგლისში, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა სავაჭრო ორგანიზაციები საზღვარგარეთ, და ორივე დიპლომატიური აპარატი თავს იკავებდენ და თავს იკავებენ ეხლაც ყოველგვარი ურთიერთობისაგან უცხოეთ კომუნისტურ პარტიებთან და საერთოდ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევისაგან, რომელშიაც ისინი მუშაობენ.

ინგლისის კაპიტალისტებსა და მინისტრებს სურთ გაიგონ ინგლისის გაფიცულ მუშებისადმი ჩვენი დახმარება, როგორც ინგლისის შინაურ საქმეებში ჩარევა. ამის გამო ისინი აღნიშნავენ რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები ითვლებიან კომპარტიის და პროფკავშირის წევრებად.

ამ ბრალდების წინააღმდეგ კომისარიატის ცნობა ამბობს:

„არ მიაჩნია რა პასუხის ღირსად ის უხეში და დაუშვებელი გამოსვლები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლისის ზოგიერთ მინისტრების მხრივ, საბჭოთა კავშირის, მისი მუშათა კლასის და მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციების მიმართ, საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ მთავრობის წევრების ყოფნა ამა თუ იმ პარტიაში და ამა თუ იმ პარტიის უპირატესობა, რომელიმე პროფ. კავშირში ჩვეულებრივი და საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა“.

შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა პროტესტს აცხადებს იმ ბრალდების წინააღმდეგ, თითქოს ის ყოველთვის არ ასრულებდეს თავის სავაჭრო ვალდებულებებს.

სახალხო საგარეო კომისარიატის ცნობა შესაფერ პასუხს აძლევს ინგლისის მინისტრ ჩერჩილს და თავდება შემდეგი განცხადებით: „საბჭოთა მთავრობა უდიდესად აფასებს თავის დამოკიდებულებას ინგლისთან და ყოველმხრივად სცდილობს მის შენარჩუნებას და კერძოთ კი ორივე სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ხელშეკრულების კიდევ უფრო გაფართოებას, მაგრამ საბჭოთა მთავრობას საკმაოდ შეგნებული აქვს საბჭოთა კავშირის მსოფლიო როლი პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში, მისი მნიშვნელობა და ძლიერება და ამიტომ მასზე დიდ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, რომელიმე სხვა მთავრობის ცალკე წევრთა მტრული, უაზრო ტენდენციური და უხეში გამოსვლები, რომელთა მიზანი სრულებით ეწინააღმდეგება, როგორც ორივე სახელმწიფოს ინტერესებს, ისე საერთაშორისო ურთიერთობის მშვიდობიან განვითარებას“.

# პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში მოხდა განხეთქილება.

## ჩიჩერინის ნოტამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ინგლისში.

### მაროკოში რიფები ფრანგების წინააღმდეგ ისევ განაგრძობენ ბრძოლას.

## კუკის განცხადება.

მთამადნელ მუშათა ფედერაციის მდივან—კუკმა ერთერთ მუშათა მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: თუ მთავრობა წაიღებს უკან კანონპროექტს 8 საათის სამუშაო დღის შესახებ და ნებას დართავს მაღაროებში მუშაობაზე გაფიცვამდე არსებულ პირობებში, ის პირობას იძლევა, რომ მთამადნელთა ფედერაციის აღმასკომი ყოველმხრივ დაეხმარება მთავრობას, სამუშაო ხელფასის საბოლოოდ მომწესრიგებელ აპარატის შექმნაში, იძულებითი არბიტრაჟის გარეშე.

„შეუძლებელია მთამადნელებისაგან მსხვერპლის მოთხოვნა—სთქვა კუკმა,—როდესაც ნახშირიან ადგილების მეპატრონეები, შუამავლები და სხვა პირები დიდ ნაწილს ღებულობენ ქვანახშირის მრეწველობის მოგებიდან“.

## ამხ. ჩიჩერინის ნოტის გამოძახილი ინგლისში

ინგლისის გაზეთების უმრავლესობას სრულიად მოყავთ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ნოტა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.

## ხიკსი არ ცხრება

ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის მეგობრებთან ერთად დაარსა „სიფხიზლის კომიტეტი“, რომლის მოვალეობა იქნება საბჭოთა მოქმედებისათვის თვალყურის დევნება და მიუთითოს მთავრობას თითეულ შემთხვევაზე, როდესაც საჭირო იქნება შესაფერი ზომების მიღება.

## ბირკენხედის და ჩერჩილის უპასუხისმგებლო გამოსვლები

გერმანული გაზეთის კორესპონდენტის ცნობით ლონდონიდან ჩერჩილისა და ბირკენხედის გამოსვლებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთავრობის დანერჩენ წევრებში. ჩერჩილის მოწოდება—არ მიეცეს სესხი საბჭოთა კავშირს მიაჩნიათ მის მიერ კაბინეთის მთელი უფლებებით მითვისებით.

ამის გამო შესდგა მთავრობის სპეციალური სხდომა, რომელზედაც ჩემბერლენი იმუქრებოდა გადადგომით, თუ არ შეწყდებოდა მთავრობის საგარეო პოლიტიკას ჩაშლის ცდები.

გავრცელებული ხმების თანახმად, ბირკენხედი მიისწრაფვის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტისაკენ, ხოლო ჩერჩილს კი სურს დაიკავოს ბალდუინის ადგილი.

## მაროკოში ისევ გრძელდება ბრძოლა

საფრანგეთის არმია კვლავ განაგრძობს სამხედრო მოქმედებას მაროკოში აჯანყებულების წინააღმდეგ. ამნაირად მიუხედავად აბდ-ელ-ქერიმის დანებებისა, რიფები მაინც არ ნებდებიან და განაგრძობენ ბრძოლას.

## ჩერჩილისა და ბირკენხედის აზრი-მთავრობის აზრი იყო

ერთ-ერთ ლიბერალურ პარტიის დეპუტატმა შეკითხვა შეიტანა პრემიერ ბალდუინის სახელზე პარლამენტში იმის შესახებ გამოხატავდენ თუ არა ჩერჩილისა და ბირკენხედის სიტყვები მთავრობის აზრს საბჭოთა კავშირის შესახებ. ბალდუინმა შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს განაცხადა, რომ ჩერჩილისა და ბირკენხედის სიტყვები, როგორც ჩემბერლენისა და ბულფურის გამოსვლები, იყო მთავრობის აზრი“-ო.

## ჭკუაზე მოვიდენ.

პოლონეთის სოციალისტურ პარტიას ჩამოსცილდა ლიუბლინის, სილეზიის, აღმოსავლეთ გალიციის და სხვა ადგილების ჯგუფები და დაარსეს ახალი პარტია „მემარცხენე სოციალისტურ პარტიის“ სახელწოდებით.

ახალი პარტიის სათავეში სდგას პარტიის ყოფილი დეპუტატი დმოვსკი. ახლად დაარსებულ პარტიის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში ნათქვამია:

„ჩვენ არ შეგვიძლია გავჩუმდეთ, როდესაც პ. ს. პ. ლიდერები ესვრიან სხვა რწმენის მუშებს საპირველმაისო დემონსტრაციების დროს.

პ. ს. პ. პატიოსანი წევრებისათვის არ დარჩენილა სხვა გზა გარდა ყაჩაღების მიერ ხელში ჩაგდებულ პარტიიდან ჩამოცილების“-ო.

## შეთქმულება ოსმალეთში

სმირნაში დამოუკიდებლობის ტრიბუნალში დაიწყო ქემალ-ფაშას წინააღმდეგ შეთქმულობის მომწყობთა პროცესი. სულ 60 კაცია ბრალდებული. მათ შორის 25 ოპოზიციის დეპუტატია.

სმირნადან მიღებული ცნობით, ოსმალეთის გენერალური პროკურორი მოითხოვს 9 შეთქმულებაში მონაწილე დამნაშავის სიკვდილით დასჯას, მათ შორის 6 დეპუტატია.

## „ხელშეუხებლობა“

პრაგიდან მიღებული ცნობით, ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტმა დეპუტატის ხელშეკრულობა ჩამოართვა ოთხ კომუნისტს და ერთ სოციალისტს.

# საბჭოთა კავშირში

## საბჭოთა პროფკავშირების ძმური თანაგრძნობა

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭომ წერილობით მიმართა ინგლისის ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს, რომელშიდაც აღნიშნულია საჭიროება შეიქმნეს გაფიცულ მთამადნელ მუშების დახმარების აღმოსაჩენათ ინგლისის—რუსეთის დამხმარე კომიტეტი.

წერილში აღნიშნულია ასეთი ორგანიზაციის აუცილებლობა, რადგან ბრძოლა ძლიერ გამწვავებულია და ბურჟუაზიის მთელი ძალები გაერთიანებულად მოქმედებენ გაფიცვის წინააღმდეგო.

## სურთ გაეცნონ საბჭოთა კავშირის ცხოვრებას

ივლისში საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ამერიკიდან კავშირის ცხოვრების გასაცნობათ ამერიკელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეების, ლიტერატორების, ჟურნალისტების, ამერიკელ კომერციული წრეების წარმომადგენლები და სხვ. შემდგარი ჯგუფი—სულ 20 კაცამდე.

## ბელორუსიის ცაკის სესია გაიხსნა

ქ. მინსკში 27 ივნისს გაიხსნა ბელორუსიის ცაკის მორიგი სესია. სესიაზე გამოცხადდა 100 დელეგატზე მეტი.

# ფელეტონები

### აქა ამბავი ბალინჯოების თავგასავალი.

დაღამდა.

ცაზე გამობრწყინდნენ ვარსკვლავნი მოკაშკაშენი. გავიდა ცოტა ხანი და გამოჩნდა ბადრი მთვარეც.

დაჰბერა გრილმა ნიავმა. დღით სიცხით შეწუხებულმა ადამიანმა თავისუფლად ამოისუნთქა.

კარგია ძილი სიგრილეში. უფრო კარგი და ტკბილია ძილი შრომით დაღალულ—დაქანცულთათვის.

მე-2 ცალკე მესანგრე ასეულის წითელ არმიელნი მოემზადენ დასაძინებლად.

ტანთ—გაიხადეს,

გაასწორეს საწოლი და ჩაგორდნენ საბან ქვეშ.

ჩამოვარდა სიჩუმე, რომელიც დრო გამოშვებით ირღვეოდა ვისიმე მძიმე ამოსუნთქვით.

— ვაიმე, შემჭამეს!—გაისმა უცებ.

— მიშველეთ, გამომხრეს—მოისმა მეორე მხრიდან.

— მომეპატრონეთ, სისხლიდან დამცალეს—შეღრიალა თავგანწირულად მესამემ და მესანგრე ასეულის ყაზარმა უცებ მოიცვა განგაშმა, ღრიალმა, ხრიალმა, ტირილმა და ბევრმა სხვა რამემ.

— ამხანაგებო! ასე არ შეიძლება—შეუძლებელია ასეთ პირობებში ძილი. მე ვისვრი ლოზუნგს: „სიკვდილი ბალინჯოს.“—და ამხანაგის გადასროლილმა ლოზუნგმა ჰპოვა გამოძახილი ყველას გულში.

მოემზადენ საბრძოლველად-მაგრამ მტერი კი ვერსად იპოვეს, ის უკვე დამალულიყო.

„ამხ. რედაქტორო! შესაძლოა იყვეს რაიმე წამალი და გვიშველოთ დროზე, იმედია მოგვაქცევთ ყურადღებას“—იწერება საბრალო წითელ არმიელი, ბალინჯოების მიერ უსვინდისოთ დაკბენილ—დაგლეჯილი.

რედაქციამ მე დამავალა, მივაქციო ყურადღება მესანგრე ასეულის წითელ არმიელთა უნუგეშო მდგომარეობას და ვთხოვ ყველას, ვისაც კი მოეპოვება რაიმე საშვალება ბალინჯოთა წინააღმდეგ, გადაუგზავნოს საჩქაროდ მე-2 მესანგრე ასეულის მნეს.

ელიაზარი.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

## ᲡᲐᲗᲔᲛᲝ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲐ

1-ლი ივნისიდან დაწყებული კამპანია გლეხთა კომიტეტების გადარჩევის შესახებ მთელ საქართველოში უნდა გათავდეს 15 ივლისისთვის.

ამ კამპანიის დროს, ცენტრიდან მიღებული მითითებების მიხედვით გლეხთა კომიტეტების რიცხვი თითეულ მაზრაში შემცირებული უნდა იქნეს, მეზობლად მდებარე სოფლების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანების გზით.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ

მე-6-ე ლეგიონი.

ცვალებადელების მიღებისთანავე მოხდა ა. ლ. კ. კავშირის წევრთა აღრიცხვა კომკავშირის ორგანიზაციის ქსელის გასაშლელად. აღრიცხვის შემდეგ ჩამოყალიბდა 14 პარტდამხმარე ჯგუფი, რომლებიც აერთიანებენ 400-მდე წევრს. კომუჯრედის მდივნებმა და ბიუროებმა აიღეს მტკიცე ხაზი, რომ მუშაობას კომკავშირელთა შორის მიქცეოდა ჯეროვანი ყურადღება.

თითეული კომკავშირელი ატარებს ამა თუ იმ კულტურულ განმანათლებელ მუშაობას. ყველა კომკავშირლები ჩაბმული არიან ლენკუთხეების მუშაობაში, კლუბთან არსებულ წრეებში და მთლიანად საკლუბო მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

ლეგიონში დაარსებულია აგრეთვე 9 საკავშირო სკოლა კომკავშირელთა მომზადების დონის ამაღლების მიზნით. ბიურო კოლექტივს გამოყოფილი ყავს შესაფერად მომზადებული ხელმძღვანელები საკავშირო სკოლებისათვის. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ 2 საათს. მეცადინეობა ლაბარატორიული წესით უნდა გატარებულიყო, მაგრამ სამწუხაროთ ეს ვერ მოხერხდა, ვინაიდან კომკავშირელების მომზადების დონე დაბალია. ამისათვის მეცადინეობა ტარდება შემდეგი წესით: ეძლევა თემები აქტიურ და მომზადებულ კომკავშირელს, აკეთებს მოხსენებას 1 საათს, რის შემდეგ ხელმძღვანელი თითონ ატარებს კითხვა პასუხის სახით საუბარს. ხშირად თვით ხელმძღვანელები აკეთებენ მოხსენებებს. საერთოდ მუშაობა დიდ ინტერესს იწვევს კომკავშირელებში.

საკავშირო სკოლები აერთიანებს 435 კაცს, აქედან 35 უპარტიოა. პარტ დამხმარე ჯგუფების კრებები ხდება თვეში ერთელ ან ორჯერ. უმთავრესად ირჩევა აღმზრდელობითი ხასიათის საკითხები. ჯგუფებს შემოღებული აქვთ ლენკუთხეებში მორიგეობა. დისციპლინის დარღვევას ნაწილობრივ ქონდა ადგილი, მაგრამ ეს ნაკლი პარტორგანიზაციამ გაცხოველებული აღმზრდელობითი მუშაობით აღმოფხვრა. კომკავშირელები სამხედრო საქმეშიც დიდ ენერგიას იჩენენ. ისინი მაგალითის მაჩვენებელი არიან უპარტიო ახალგაზრდობისათვის. დისციპლინის განმტკიცების საქმეში კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ.

დ. ლომაძე.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲓᲐᲜ

მე 2 ლეგ. 9 ასეული.

ჩვენი ასეულის უჯრედი საგრძნობლად მოისუსტებდა თავის მუშაობაში ამ უკანასკნელ ხანებამდე. ამის მთავარი მიზეზი იყო უჯრედის მდივნის დატვირთვა მრავალი საქმეებით. ის ვეღარ ასწრებდა უჯრედის წევრებისათვის სხვა და სხვა საჭირო დავალებების მიცემას. ასე იყო უკანასკნელ ხანებამდე სანამ საერთო კრებაზე არ იქნა არჩეული ახალი მდივანი, რომელიც უფრო ნაკლებად არის დატვირთული საქმეებით და შესაძლებლობა აქვს კარგად გაუძღვეს კავშირის საქმეს. ის ყოველთვის კომკავშირელებთან არის და აძლევს მათ სხვა და სხვა დავალებებს.

ჩაბმული იქნენ სხვა და სხვა წრეებში კომკავშირელების უმრავლესობა. სკოლის გარეშე მეცადინეობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ.

იმედი გვაქვს, რომ დანაკლისს მალე შევამსებთ ჩვენს მუშაობაში.

ქერიგო.

# ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲫᲘᲔᲑ...

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝᲗ ᲫᲘᲔ... ᲦᲐᲛᲘᲗ.

ომის დროს ხშირად ხდება, რომ ძიება უნდა ვაწარმოოთ, არა თუ დღით, არამედ ღამითაც.

ღამით ძიებას, როგორც დღისით, აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

**რით არის კარგი და ცუდი ღამით წარმოებული ძიება?**

მძიებლებს ადვილად შეუძლიათ შეუმჩნევლად წაადგენ თავზე მტერს, ან და მოექცენ მათი დაცვის ხაზის შიგნი, ან და მოახდინონ მოულოდნელი თავდასხმა.

ღამის სიბნელე შეუმჩნეველს ხდის მძიებლების ძალებს.

ღამით ჯარები უფრო ადვილად შეიძლება დააფრთხო. მძიებლის თავდასხმას, მოპირდაპირის ბანაკში დიდი არევ-დარევა შეაქვს. მძიებლები კი სარგებლობენ ამით და უმსხვერპლოდ ასრულებენ მიცემულ დავალებებს.

ღამე საშუალებას არ აძლევს მძიებლებს დაწვრილებით დაათვალიერონ მთელი ის ადგილ-მდებარეობა, რომელზედაც ისინი მოქმედებენ, ამის გარდა ადვილად შეიძლება გზის დაბნევაც, ხოლო გზა დაბნეული მძიებელი კი სულ ადვილად შეიძლება წააწყდეს თავზე მოპირდაპირეს და მოექცეს მის ცეცხლის ქვეშ.

ღამით ძიების დროს შეუძლებელია, რომ მხედველობიდან არ იქნეს დაკარგული მოკავშირე ნაწილები და ამნაირად უზრუნველყოფილი იქნეს კავშირის საქმე.

სიბნელე საშვალებას არ აძლევს მძიებლებს გამოარკვიონ მოწინააღმდეგის ნამდვილი ადგილ-მდებარეობა და ძალები. აქედან ცხადია, რომ მძიებლები ყოველთვის ვერ შესძლებენ ნამდვილი ცნობები მიიღონ მოპირდაპირის შესახებ.

**გაცნობა ადგილ-მდებარეობასთან.**

ღამის ძიების ყველა უარყოფითი მხარეები შეიძლება აცილებული იქნეს თავიდან თუ მათ წინასწარ გავითვალისწინებთ.

რომ კარგად გავეცნოთ ადგილ-მდებარეობას, რომელზედაც მოგვიხდება მოქმედება ღამით, მძიებლები შეიკრიბებიან იმავე რაიონში დღით და ყურადღებით დაათვალიერებენ ...თელ მიდამოს, მოპირდაპირის ბინადრობას, თუ ის მოსჩანს და თავისიანების ადგილ-მდებარეობასაც. ამის შემდეგ ისინი მიემართებიან იმ ადგილისაკენ, საიდანაც უნდა დაიწყონ მოქმედება ღამით. აქედან კიდევ სწავლობენ მთელ მიდამოს, და იმახსოვრებენ უფრო შესანიშნავ ადგილობრივ საგნებს, რო... მელთა შორის მოუხდებათ მათ მოძრაობა ღამით. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი ხდება დაფარულად, რომ ... უმჩნეველი იქნეს მოპირდაპირისათვის, და რომ მან ეჭვი არ აიღოს, რომ ვემზადებით ძიებისათვის.

ღამით ძიების, მოძრაობის დროს, მძიებელი განყოფილებ... უნდა იქნეს წაყვანილი გველ... სებრივი ხაზით. განყოფილებ... 15.20 ნაბიჯით წინ უნდა მ... უძღოდეს 2 მზვერავი. მძიებ... ნაწილებს შორის კავშირი ა... სებობს მზვერავების საშვალ... ბით. კავშირი ზურგის ნაწილ... ბთან, თუ იქედან არ მოდ... დახმარება, არ დაიჭირება.

**როგორ უნდა ხდებოდეს მტ... რზე თავდასხმა.**

მტერზე თავდასხმა უნდა ხდ... ბოდეს მოულოდნელად მთელ... ძალებით და უნდა ვეცადო... შამოუაროთ მას ზურგიდან.

ღამით თავდასხმისათვის საუ... კეთესო იარაღათ ითვლება ხ... შტი და ხელის ყუმბარა.

შეპყრობილი ტყვეები ... ყონებლივ უნდა გაიგზავნ... ზურგისკენ.

თუ მტერი გახსნის ძლიე... ცეცხლს, უნდა ჩავწვეთ და ვ... ცადოთ მანამდე, სანამ არ შ... ჩერდება ის. სროლის დ... უნდა დავაკვირდეთ, შევნიშნ... სად აქვს მტერს მოთავსებულ... ტყვიამფრქვევები და არტილე... რია იმ აპრიალების მეოხებით რომელიც ხშირად იცის სრო... ლის დროს.

თუ იმ ადგილს, რომ... დაც მოძრაობენ მძიებლებ... მტერი აშუქებს პროჟექტორი... საშვალებით, საჭიროა სწრაფ... დავწვეთ და ვიცადოთ უძრავ... მანამდე, სანამ სხივები არ გ... დაგვცილდება.

ყველა ჩამოთვლილი პირო... ბები თუ შესრულდა, ღამ... ძიება აუცილებლად დიდ ... დეგებს მოიტანს.

ნ—ი.

# ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ.

## ᲬᲧᲐᲚᲗᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ.

თითეულ საბანაკო პერიოდს წითელ არმიიდან ეწირება რამოდენიმე მსხვერპლი—წითელარმიელების სახით, რომლებიც იღუპებიან გაუფრთხილებლობის ან უბედური შემთხვევების გამო.

სიფრთხილე და დაკვირვება თითეულ ფეხის ნაბიჯზეა საჭირო ყოველგვარი საქმიანობის დროს. სიფრთხილე საჭიროა: სროლაში მეცადინეობის დროს, იარაღის მოპყრობის, ცურვის, ბანაობის დროს და სხვა. იმის შესახებ თუ როგორი წესები უნდა იქნეს დაცული წყალში ბანაობის დროს, რომ აცილებული იქნეს თავიდან ყოველგვარი უბედური შემთხვევები, ვრცლად იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში.

წითელარმიელებმა დიდი ... ფრთხილე უნდა გამოიჩინ... წყალში ცურვისა, ბანაობის ... საერთოდ მასთან დამოკიდებ... ლების დროს.

გაუფრთხილებლობით, ... ლო უბრალოდ მსხვერპლი... დება წითელ არმიას არ ... უძს. მეორე მხრივ ეს უ... სი დანაშაული იქნება ... წითელარმიელებისათვის.

მოუფრთხილდეთ თავ... რა-მარა, როდესაც მოგვ... თება, წყალში ცურვა და ... ბელია. ამას შეიძლება დი... გართულება მოყვეს და სი... დილიც კი. ყურადღებით მ... ვეკიდოთ თავს. არც ე... მსხვერპლს ადგილი არ უნ... ექნეს მიმდინარე წლის ბა... კობის დროს ჩვენს ნაწილებ...

ს. ...

# ᲞᲐᲠᲢ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓ-ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

(კამათის წესით)

**პარტგანათლება შეკრებათა შორის წერტზე**

პარტ-განათლების საქმის დაყენება ასეულის ყველა წერტებზე შეკრებათა შორის მიუხედავათ სხვა და სხვა ღონისძიებისა, ფორმებისა და მეთოდების გამოძებნისა გართულდა. ეს გამოწვეული არის შემდეგი გარემოებით: 1. ხელმძღვანელთა კადრი ნაკლებათ მომზადებულია, 2. არ არის საკმაო ლიტერატურა, არამც თუ საკმაო, ძალზე მცირეა. ასე რომ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილების მინიმუმის 20 პროც. 3. შეუძლებელი ხდება გამოყენება სამოქალაქო ორგანიზაციების ძალებისა. გამონაკლის შეადგენს სიღნაღის და თელავის სამაზრო ცენტრთან მდგომი ნაწილები, სადაც შედარებით მოსახერხებელი და შესაძლოა სამაზრო პარტ-ორგანიზაციების ძალების გამოყენება. მაგრამ ასეულის წერტები ცენტრიდან დაშორების გამო უფრო ცუდ პირობებშია და იქ პარტ-სკოლების მუშაობა მიზანშეუწონელია შემდეგი მიზეზების გამო: 1. საკადრო პარტ-შემადგენლობის სიმცირე, 2. ცვალებად პარტ-შემადგენლობის ჩაბმის მოუხერხებლობა, (რადიუსის სიდიდის გამო) 3. ლიტერატურის ძალზე სიმცირე, 4. ხელმძღვანელთა კადრის დაბალი დონე. გარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ ლიტერატურის დიდი პროცენტი რუსულ ენაზეა, რომლის გამოყენება ხელმძღვანელებს ნაკლებით შეუძლიანთ, მით უმეტეს მოსამზადებელ პირებს (მსმენელებს). ყველა ზემოხსენებული დიდათ ართულებს პარტ-განათლების საქმის დაყენებას წერტებზე განსაკუთრებით ცალკე ასეულების წერტზე.

**კოლექტივის ხელმძღვანელობა პარტგანათლებაზე.**

შეკრებათა შორის ყველა წერტებზე მოუხერხებელია პარტ სკოლების ჩამოყალიბება ზემოდ დასახელებულ მიზეზების გამო. ცალკე მდგომ ასეულების წერტებზე ამ მოსაზრებით უარყოფილი უნდა იქნეს პარტ-სკოლების არსებობა და ამ შემთხვევაში საჭიროა ინდივიდუალური მომზადება ამხანაგებისა და ეს გარემოება კი მოითხოვს საკმაო ლიტერატურის მიწოდებას ქართულ ენაზე გასავლელ პროგრამის მიხედვით. მეთოდიური წერილების გზავნა აუცილებელია მუშაობის ასეთ პირობებში, მხოლოდ მეთოდიური წერილი უნდა უერთდებოდეს გასავლელ პროგრამის კონკრეტიულ მასალას. ბ. კოლექტივის ხელმძღვანელობა იქ სადაც პარტ სკოლები არ იქნება უნდა განხორციელდეს პოლიტ-ხელების საშვალებით, რომლებიც პასუხის მგებლები იქნებიან ამხანაგების თვით მომზადებაზე. ამ შემთხვევაში განსაზღვრულ პერიოდებში უნდა მიდიოდეს ბ. კოლექტივის მდივანი ან უნდა იგზავნებოდეს ბ. კოლექტივის ერთი წევრი მომზადებისა და მუშაობის მდგომარეობის გამოსარკვევათ.

**ხელმძღვანელთა მომზადების შესახებ.**

ზევით აღნიშნულის მიხედვით, რომ ხელმძღვანელთა კადრის დაბალი დონე ვერ აკმაყოფილებს პარტ-განათლების დაყენების მოთხოვნილებას. ეს გარემოება მოითხოვს პარტ-სკოლების ხელმძღვანელ ამხანაგების გადამზადების აუცილებლობას და ეს უნდა მოხდეს შერჩეულ დროს, სახელდობრ, ახალწვეულთა შეკრების დამთავრებისას მინიმუმი 10 დღე სპეციალურ პროგრამის გავლით, ან საერთო შეკრების დამთავრების შემდეგ. გადასამზადებელ სემინარებზე უნდა იქნეს გავლილი პარტ-განათლების მეთოდიური მხარეები, ჩვენს მუშაობის სპეციფიურ პირობებში პარტ-განათლების ტეხნიკურად დაყენება და ასე უნდა მოხდეს გასავლელი პროგრამის გადამუშავება და ინდივიდუალურ მომზადების მეთოდიური მხარეები. აქ მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სემინარებში ჩაბმა იმ ამხანაგების, რომელთაც მიენდობა თვით მომზადების ხელმძღვანელობა, როგორც კადრის ისე ცვალებად—პარტ-შემადგენლობის.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

გ. სხვიტარიძე.

# [წითელარმიელ]ებაძველდელთა სწავლება და ცხოვრება ბანაკში ვამტკიცებთ სოფელთან კავშირს

## [ლეგიონ]ის საქმეს კარგად ითვისებენ ცვალებადელები.

მე 4 ლეგ. მე-3 ათასეული.

[...]ესამე ათასეული არ ჩამორ[...] ლეგიონის სხვა ნაწილებს [...]ის საქმიანობით. ცვალე[ბა]დელებთან მუშაობას თავი[...] [...] დიდი ყურადღება მიექ[ცა] სამხედრო საქმეში საკმაოდ [...]ლოვნდენ. ყველა ძირითა[დ] წესები გავლილი აქვთ. კა[...] ურნარი გამოიჩინეს სრო[...] საქმის შესწავლაშიც. [...]მირად გადის ნაწილი ველ[...] და აწარმოებს მუშაობას [...]ოაში. წითელ არმიელებზე [...] შთაბეჭდილებას სტოვებს [...]ცადინეობა. კიდევაც ეჯიბ[...]ან ერთმანეთს. [...]დი ყურადღება მიექცა აგ[...] [...]ეე მათი საზოგადო განვი[თ]არებასა და მომზადების საქ[...]მეს. წერა-კითხვის უცოდინართათვის და რასაზული იქნა უცოდინარობის ლიკვიდაციო სკოლა. მოლაშქრეები გულმოდგინეთ ეკიდებიან მეცადინეობას.

უფროსებთან ძლიერ კარგი დამოკიდებულება არსებობს. დისციპლინის დარღვევას ჯერ ადგილი არ ჰქონია ნაწილში.

ათასეულში გამოდის ყოველ ორ კვირეული კედლის გაზეთი რუსული, ქართული და სომხური განყოფილებებით, რომელსაც მეტად ეტანებიან ცვალებადელები.

ი—ა.

## ექსკურსიაზე

საქართველოს ტერიტორიალურ სამხართველოს საკომენდანტო გუნდის წითელ არმიელები გავემგზავრეთ „ზაჰესის" დასათვალიერებლად.

ექსკურსიამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. ვინახულეთ ზაჰესის ყველა შენობები: მთავარი სადგური, არხის საკეტი. ბევრს წითელ არმიელს არა ჰქონდა წარმოდგენა იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც სწარმოებს ზაჰესში, ეხლა კი ყველა ამხანაგი ნათლად არის გარკვეული საბჭოთა მთავრობის მიერ წარმოებულ აღმშენებლობის საქმეში.

ექსკურსიას გაუწია მატერიალური დახმარება მე-2-ე დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებამ, რისთვისაც ყველა წითელი არმიელები უძღვნიან პოლიტგანყოფილებას მადლობას.

წ. არმ. მაკარიძე.

## ცეკლინა კარგად შეითვისეს

მე-5 ლეგ. მე-8 ასეული.

[...]ულში კარგ ნიადაგზე [...] სამხედრო და კულტუ[რ-პ]ოლიტიკური მუშაობა. [...]აშქრელები დიდ აქ[...]რჩენენ ყველაფერში. [...]თვისეს სამხედრო [...]. ყველასათვის გა[...] [...]რა მნიშვნე[...] მტკიცედ და[...] [...] განმავლობაში [...]შაობამ ძლიერ [...] წინაშე და[...] [...]ნი. [...]ქმეში კარგად [...]რეები მოიზადე[...] სამსახურის გათავების შემდეგ ზოგიერთი მეთაურები რჩებიან ყაზარმაში და ამეცადინებენ წითელარმიელებს სხვა და სხვა საყურადღებო საკითხებში. ეს გარემოება კიდევ უფრო აახლოვებს წითელარმიელებს მეთაურებთან და ქმნის საუცხოვო დამოკიდებულებას მათ შორის.

მთელ ასეულში გვყავს 7 წერა-კითხვის უცოდინარი წითელარმიელები, რომლებიც მალე დაასრულებენ ლეგ-სკოლას.

ებანოიძე.

## პოლიტ-საათები ჩვენთან.

ცხენ. ლეგიონი

ლეგიონის ბანაკად გასვლის შემდეგ, ყაზარმებში დარჩე[ნილ] ნაწილს არ შეუწყვეტია პოლიტსაათებში მეცადინეობა [...]ო ნაყოფიერებითაც მიმდინარეობს. წითელ არმიელე[ბი გან]საკუთრებული გულის ყურით უსმენენ საათებს და ცდ[ილ]ობენ რაც შეიძლება ბევრი შეითვისონ, რომ სირცხვი[ლი არ ჭ]ამონ ბანაკიდან დაბრუნებულ ამხანაგებთან და არ [ჩამო]რჩენ მათ ცოდნის შეძენის საქმეში.

[...] მეცადინეობის დროს წარმოებს ხმამაღალი კითხვა, პრო[...]ს მიხედვით. იყო ორი ჯგუფი, მაგრამ ამ ჟამად ისინი [შე]ერთებული არიან და ისე მეცადინეობენ.

[...]მედია ჩვენი პოლიტ-ხელები კიდევ უფრო ენერგიულად [მოეკიდ]ებიან ამ საქმეს და მეტ ცოდნას მიაღებინებენ ყაზარ[მაში დ]არჩენილ წითელ არმიელებს.

პ. კახიძე.

## [წე]რა-კითხვის უცოდინარობის [ლიკ]ვიდაცია წარმატებით მიმდინარეობს.

4 ლეგ. 6 ასეული.

[...]ლებად წითელ არმიელე[...] [ე]ნერგიულად მიმდინარე[ობს მეცა]დინეობა. განსაკუთრე[ბით დ]იდი ყურადღება ექცევა [წერა-კით]ხვის უცოდინარობის [ლიკვიდაც]იის ცვალებადელებს [...] [მოწ]ყვებულებაში წასვლამ[დე] [...]ხულია, რომ ასეულ[...]ნის მოელოს უცოდინა[...] [...]არც ერთი წერა-კი[თხვის] უცოდინარი ყაზარმიდან [...]ელს". ასეთი ლოზუნ[გით მ]ომსახურებელი ასეულში [...] მთელი შესაძლებლობა [...]არდება ნაწილის მესვე[ურე]ბის მიერ. [...]ლში მშვენივრად გვაქვს [...]ბილი ლენინის კუთხე, სადაც სისტემატიურად ყოველ დღე სწარმოებს საუბრები. კუთხეში მრავლად მოგვეპოვება ლიტერატურა. მკითხველთა რიცხვი თანდათან იზრდება. ყოველ საღამოობით ტარდება ჟურნალ-გაზეთების ხმამაღალი კითხვა, რომელსაც ესწრებიან წერა-კითხვის უცოდინარებიც. ისინიც ღებულობენ მონაწილეობას შეკითხვებსა და კამათში.

ცვალებადელებმა უკვე შეისწავლეს წერილების წერის წესი, რაშიდაც დიდი ღვაწლი მიუძღვის სამკორთა წრეს.

გორელი.

## სკოლის გარეშე მუშაობამ მიიძინა.

1-ლი მესანგრეთა ასეული.

აგერ თვე ნახევარი იქნება, რაც ბანაკად ვართ ჩამოსული. მოვაწყვეთ სამკითხველო, ლენკუთხე, კლუბი და სხვა, მაგრამ სამწუხაროთ ძლიერ მოისუსტებს მათი მუშაობა. ბანაკში ყოფნის დროს არ გამოსულა კედლის გაზეთის არც ერთი ნომერი. კულტურული ხასიათის მუშაობამ მიიძინა. სიტყვით არსებობენ სხვა და სხვა წრეები, მაგრამ საქმეზედ არსად სჩანან. არცერთი არ აწარმოებს მეცადინეობას, გარდა ფიზკულტურისა და სასოფლო-სამეურნეო წრეებისა. მუშაობის გამოცოცხლებაზე კი არავინ ფიქრობს პასუხისმგებელ ამხანაგებიდან დაწყებული და გათავებული წითელ არმიელებით.

წითელ არმიელებს არავინ ახალისებს. ვერც ერთ მეთაურს ვერ ნახავთ ნაწილში 6 საათის შემდეგ. ბევრს აკერია პირზე დატვირთვა, სინამდვილეში კი განტვირთული არიან.

საჭიროა სათანადო ყურადღებას მოგვაქცევდეს ვისგანაც ჯერ არს, რომ გამოცოცხლდეს სკოლის გარეშე მუშაობა ნაწილში და არ ჩამოვრჩეთ სხვა ნაწილებს. მიძინებული კულტმუშაობა უნდა გამოცოცხლდეს.

მო—ვი.

## სამკორო!

### თვალყური ადევნე:

**როგორ მიმდინარეობს შენი ნაწილის სამეურნეო ცხოვრება, როგორი სადილი მზადდება, როგორ უვლიან წითელ არმიელები ტანსაცმელს, იარაღს, ფეხსაცმელებს, ხომ არა აქვს რაიმე ადგილი ზედმეტ ხარჯებს.**

## ღამე თარში.

აგერ მთვარემ ვერცხლის სხივი
მთის ხერხემალს შესთავაზა,
და ნიავმაც კაბა ცივი
ტანთ ჩაიცვა—მორთო ნაზად.
საიდუმლო სხივთა ყდაში
მთის ხერხემალს ჰბანს ჩანჩქერი,
ვარსკვლავთ მორთეს ცეკვა მთაში
და ციგლიგი ალმაცერი.
მთვარე ნაზად გადიზნიქა
ხევებშიაც შეიპარა,
უცბად გატყდა ბროლის ჭიქა
და სხივებიც დაიღვარა!!!..
ჭახ... ჭახ... ჭახ... ჭახ... რაკ...
რაკ.. რაკ... რაკ...
შაშხანა და ტყვიის მფრქვევი,
აქ მხედრები ჩაესაფრენ
რომ შენიშნეს მტერი ქვევით.
და მთვარემაც მთის მწვერვალზე
მხედართ გუნდი გამოჰკვეთა..
უცბად ჯაჭვად გაიშალენენ
თითქოს ვიღაც შეეფეთათ....
ცხენებსა და მხედრებ შორის
სუნთქვა სწრაფად აიკაფა,...
მთვარისა და მთის ამბორი
გადიღადრა მხედართ ძაფად.
ჭახ.. ჭახ.. ჭახ.. ჭახ... ვაშა..
ვაშა...
და მხედრები ისევ მთაში...
ასეთი არ იყო შარშან
წელს კარგია წასვლა თარში.

დ. ხაზალია.

## კავშირი სოფელ X

ეს მეოთხე წელიწადია, რაც 1-ლ საარტილერიო ლეგიონს აღებული აქვს შეფობა X. ყოველ ბანაკობის დროს მივდივართ იქ და ვმართავთ წარმოდგენებს, ვაწვდით ჟურნალ-გაზეთებს და უწევთ გლეხებს სხვა და სხვა სახით დახმარებას.

20 ივნისს ჩვენი ლეგიონის მუშაკებსა და წითელ არმიელებთან ერთად აღნიშნულ სოფელში წავოვიდენ რუსული საარტილერიო ლეგიონიდანაც. განზრახული გვქონდა საღამო-წარმოდგენის ჩატარება.

საღამოსთვის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი ადგილობრივ კლუბში. საღამო-წარმოდგენის დაწყებამდე წარმოთქმული იქნა მისასალმებელი სიტყვები ორივე მხრიდან. ჩვენმა მისვლამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა სოფლელებზე. განსაკუთრებით ძლიერ გაუხარდათ წარმოდგენის ჩატარება. გვთხოვეს ხშირად მოვინახულოთ ისინი და გავმართოთ წარმოდგენები, რაც სიამოვნებით აღუთქვეს ლეგიონის მუშაკებმა.

ნიჟარაძე.

## განგაში 1-ლ დივიზიაში.

22 ივნისს დილით ადრე 1-ლ დივიზიის უფროსის განკარგულების თანახმად ბანაკში მოხდა განგაში. განგაში ატარებდა გამოცდის ხასიათს, თუ რამდენათ არიან ნაწილები მომზადებული უეცარი შემთხვევის დროს სწრაფად აბჯარ ასხმისთვის. განგაშმა მეტად კარგი შთაბეჭდილებით ჩაიარა. 7 წუთში დივიზიის ყველა ნაწილები იქნა გამოყვანილი წინა ხაზზე სალაშქრო რაზმეულებათ მოწყობილი და აბჯარ ასხმული. უფროსების სიტყვით განგაში წარმატებით იქნა ჩატარებული. ნაწილებმა საუცხოვოდ შეასრულეს გამოცდა.

ასეთ ენერგიული მუშაობითა და მონდომებით მივაღწევთ დიდ წარმატებას და პირნათლად შევასრულებთ საჭიროების დროს საბჭოთა ხელისუფლების დავალებებს.

ილიკო პატაშური.

## კულტმუშაობა ჩვენთან.

1-ლი საკავშირო ასეული.

ბანაკში გასვლის შემდეგ ნაწილის რედკოლეგიამ განიზრახა გაედიდებია კედლის გაზეთი და შეეცვალა მისი მხატვრობაც. ამისთვის თავის დროზე იქნა დაწყებული შესაფერი მუშაობა. წითელ არმიელთა ფართო მასაში დაიწყეს ნიადაგის მომზადება, რომ სერიოზულად მოკიდებოდენ წითელ არმიელები კორესპონდენციების მოწოდების საქმეს.

სამხკორთა წრეც ამოქმედდა, დამზადებული იქნა ყველა საჭირო მასალები გაზეთისათვის. რამოდენიმე დღე კიდევ და ნაწილი მიიღებს სრულიად გადახალისებულ კედლის გაზეთს, რომელსაც მოუთმენლად მოელიან წითელ არმიელები.

იმედია ისეთი ენტუზიაზმი არ ჩაქრება წითელ არმიელებსა და კედლის გაზეთის ხელმძღვანელებს შორის და მომავალშიაც განაგრძობენ გაზეთის გარშემო ასეთნაირ საქმიანობას.

ველჯი.

## წარმატების გზით

1-ლი ლეგიონის 4 ასეული.

1-ლი ლეგიონის ბანაკი მშვენივრად არის მოწყობილი. დაიწყო გაცხოველებული მეცადინეობა, რომელსაც ყველა ენერგიულად ეკიდება და მათ შორის ჩვენი ასეულიც. ასეულში ამოქმედებულია ყველა წრეები. ვერ ნახავთ ერთ წითელარმიელს, რომელიც არ ირიცხებოდეს რომელიმე წრის წევრად.

განსაკუთრებით საინტერესოა პოლიტ-წრე, რომელშიდაც დაწვრილებით ვსწავლობთ 14 პარტყრილობის რეზოლიუციებს, გავარჩიეთ გლეხობის საკითხები და მრავალი სხვა.

ლიტერატურული წრეც კარგად მუშაობს. ხშირად ეწყობა ლიტგასამართლებები, რომლებშიდაც ყოველთვის წითელარმიელთა ფართო მასები ღებულობენ მონაწილეობას. განსაკუთრებით დიდ აქტიობას იჩენენ წერა-კითხვის ახლად შემსწავლელი წითელარმიელები.

სამხედრო წრეში ფართოდ ვეცნობით სამხედრო ტეხნიკას. ამ წრეში ირიცხება თითქმის მთელი ასეულის შემადგენლობა.

მ. ვაკიძე.

## განახლებულ სოფელში.

ქართ. სამხ. პოლიტსკოლა.

წელს ცუდი ამინდები ყველგან ხშირი სტუმარია, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი ბანაკის რაიონი. აქ ერთ თვეზე მეტია, რაც განუწყვეტლივ წვიმს. სამხედრო პოლიტიკური სკოლების პრაქტიკული მეცადინეობაც შეფერხებულია ავდრებით.

სკოლების მთავარი მიზანი იყო და არის აქაურ ჩამორჩენილ გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დაჭერა.

როგორც იქნა 20 ივნისს გამოიდარა. კურსანტების სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა. გავეშურეთ სოფ. №-კენ საღამოს გასამართავათ.

აქ ყოფნის დროს, შარშან, ბევრ სოფლებში ვაწარმოებდით მუშაობას, მაგრამ სოფ. №-ის გლეხობა თუ ერთი წლის განმავლობაში ასე განვითარდებოდა, ამას კი არ ვიფიქრებდით. შარშან გლეხები კრებაზე თუ გვესწრებოდენ, 20 პროც. ქალებსა და ქალიშვილებს პირისახე ახვეული ჰქონდათ. წელს კი სულ სხვანაირი მდგომარეობაა და სულ სხვანაირი სურათიც გადაგვეშალა.

სოფ. №-ში მრავალ ვაჟებს და ქალიშვილებს მოეყარათ თავი მწვანე მინდორზედ და გაისმოდა დოლ-დაირის ხმა. მათ გვიცნეს და დიდი სიხარულით შამოგვეგებენ წინ.

ჯერ კიდევ დღე იყო, რომ გავხსენით კრება და დაუწყეთ გლეხობას სხვა და სხვა საკითხებზე საუბარი. საღამოს წარმოდგენის წინ კურსანტებმა მოაწყვეს კლუბის უფროსის ხელმძღვანელობით პოლიტლატარეია (პოლიტ-ანკესი).

აგერ გამოდის ერთი 85 წლის მოხუცი და იღებს პატარა დაკეცილ ქაღალდს, რომელშიდაც სწერია: „რა არის კოოპერატივი?

მოხუცებულმა სისწორით გასცა პასუხი და აღნიშნა თუ რა სარგებლობა მოაქვს მას გლეხობისათვის.

შემდეგ იქვე გამოდის შუახნის ქალი და იღებს ქაღალდს, კითხვით—„ვინ იყო ლენინი?"

ლენინი იყო მშრომელი ხალხის დამცველიო"—იძლევა ის პასუხს.

ყველა მოპასუხეები შესაფერ ჯილდოს ღებულობდენ. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე გლეხობაზე.

ქართ. სამხ. პოლიტ-სკოლას წელს მეორეთ უხდება აქ ყოფნა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი რამ შეიტანა გლეხობაში ახალი და ახალი ცხოვრების დაღი და სხვა აქაურ ჩამორჩენილ მშრომელ ხალხს.

მიხო საწირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

## არა გვყავს პარიქმახერი

მე-6 ლეგიონის 2-ე ათასეულის წითელ არმიელებისათვის ყაზარმაში მოსვლის დღიდან არ გაუკრეჭიათ თავი და პირი. არ იქნა ვერ იშოვეს ერთი პარიკმახერი. არც აქვთ რაიმე წითელ არმიელებს, რომ შესძლონ კერძო პირებთან გაიპარსონ პირი. ყველა წვერებ მოშვებულია, რაც ერთობ არ უწყობს ხელს სისუფთავის დაცვას. ამ გარემოებას დროზე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

წითელი კალამი.

## სადილებს ვეღარ ვღებულობთ

მე-3 ლეგიონის ყაზარმაში დატოვებულია ლეგიონის ერთი ნაწილი, რომელიც მიმაგრებულია კმაყოფაზე ნ ლეგიონთან. ყაზარმაში დატოვებული წითელ არმიელები თითქმის ყოველ დღე გადიან განწესებაზე. უკან დაბრუნების დროს მათთვის აღარ არის სადილი ლეგიონში. ხვდებათ ერთად ერთი შავი ქაში, რომლის ჭამა შეუძლებელი. წითელ არმიელები მშიერი რჩებიან ამის გამო.

საჭიროა მიექცეს ამ მოვლენას ყურადღება და განწესებაში გასულ წითელ არმიელებს არ ეკარგებოდეს თავიანთი ხვედრი ულუფა.

— ხუმაშვილი.

## ბაღს გვიფუჭებენ.

ცხენოსანი ლეგიონის ყაზარმებში, მისი ბანაკში გასვლის შემდეგ, მოთავსდა 2-რე არტლეგიონი. ყაზარმის ეზოში იყო წითელარმიელების მიერ გაკეთებული ბაღი, რომელსაც ძლიერ უხეშად ეკიდება ახლად ჩამოსახლებული ნაწილი. მოსთელეს შიგ ბალახი. წითელარმიელები დაურიდებლად დარბიან ბაღში და ახდენენ მცენარეებს.

ლეგიონის უფროსებმა მაინც უნდა მიაქციონ ამას ყურადღება და დაუშალონ ცვალებადელებს ბაღისადმი ასეთი უდიერი მოპყრობა.

ცეცხლი.

## დროა გამოიღვიძოს ასეულმა.

მე-2 ლეგიონის 4-ხე ასეულში სრულიად შესწყდა სკოლის გარეშე მუშაობა ბანაკში გამოსვლის შემდეგ. ლენკუთხეებში აღარ სწარმოებს საუბრები. წრეების ჩამოყალიბებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. 1-ლი მაისის შემდეგ აღარ გამოსულა კედლის გაზეთიც, რომელიც ყოველ ორკვირაში გამოდიოდა მანამდე. საინტერესოა რად არ ღებულობს ამაზე ზომებს ჩვენი კომუჯრედი?

გიგოლე.

# ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს“ ზუგდიდის მაზრის სოფელ კახათისათვის ერთ ცალს ერთი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ყურუა არჩილს, ბერაია დავითს, წურწუმია მიხას, შონია ვარლამს, ხვიტია ვალოდიას, ვართაგავა დათიკოს, სიჭინავა კირილეს, ბერაია ამბაკოს და პაჭკორია სილოვანს.

იმედია ამხანაგები გამოეხმაურებიან და ხელს შეუწყობენ გაზეთის გავრცელების საქმეს ჩვენს სოფლებში.

წ. ა. ერმილე ნარმანია.

# უცხოეთის არმიებში

## იაპონიის საბრძოლო მომზადება.

მიმდინარე წლის აპრილის თვის დამლევს ტოკიოში (იაპონიის მთავარი ქალაქია) სამხედრო სამინისტროს მიერ მოწვეული იქნა სპეციალური კონფერენცია. კონფერენციაზე მიწვეული იქნენ არმიის როგორც უმაღლესი სარდლობა, ისე ლეგიონების უფროსებიც. სულ დაესწრო კონფერენციას 220 კაცი.

კონფერენციის სხდომები მიმდინარეობდა საიდუმლოდ. დღის წესრიგში დასმული იყო: ყოფილი სამხედრო მინისტრის ტანაკას საქციელის შეფასება, რომელმაც ჩირქი მოსცხო არმიას მილიონების გაფლანგვით. სინამდვილეში კი დღის წესრიგის უმთავრესი საკითხი იყო: იაპონიის საბრძოლო მომზადებაში მოყვანის შესახებ.

სამხედრო მეთაურთა კონფერენციამ განიხილა ქვეყნის სამობილიზაციო გეგმა, მაგრამ ამაში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო არმიისა და ფლოტის მობილიზაცია, არამედ მრეწველობის მობილიზაციაც ომის შემთხვევებში.

ქვეყნის მობილიზაციის საქმეში იაპონიას სურს წაბაძოს გერმანიას, სადაც თითეული ქარხანა, თითეული ფაბრიკა და სახელოსნო წარმოადგენდა ომის დროს საბრძოლო ერთეულის რეზერვს—მარქაფს—არმიის დასაკმაყოფილებლად.

იაპონელებს სურთ მიაღწიონ იმას, რომ ომის გამოცხადების შემთხვევაში, მთელი ქვეყანა მზად იყოს თავდაცვისათვის. ყველაფერი არმიისთვის უნდა იქნეს გამოყენებული ომის დროს. მათ განზრახული აქვთ ბაღებში მოთავსებული სკამებიც კი გამოიყენონ ავტომობილებზე ჯარისკაცების დასაჯდომად, ტიკინების დასამზადებელი ფაბრიკები ამაფეთქებელ ნივთიერებათა დასამზადებლად, ხოლო ფოლადის გადამდნობი ქარხნები გადააკეთონ ყოველგვარ სახის იარაღების დასამზადებლად. ამ მიმართულებით გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ამ ჟამად იაპონიაში. ამა წლის მაისის დასაწყისში დანიშნული იქნა განსაკუთრებული კომისია, ქვეყნის სამობილიზაციო გეგმების შესასწავლად.

საინტერესოა ის, რომ სამხედრო სპეციალისტებმა, სამობილიზაციო გეგმების დამუშავების დროს გაითვალისწინეს აგრეთვე მსახიობების და ლვდლების გამოყენების საკითხი სამხედრო მიზნებისათვის.

იაპონიის სამხედრო სპეციალისტები აცხადებენ, რომ საფრანგეთი ომის დროს გზავნიდა მსახიობებს, ლვდლებს და ლიტერატორებს ფრონტზე, სანგრების დასამზადებლად, მაგრამ არავითარი სარგებლობა ამას არ მოუტანია. ამიტომ იაპონია ამას არ წაბაძავს საფრანგეთის მაგალითს. ლვდლებმა და ლიტერატორებმა,—აცხადებენ იაპონიის სპეციალისტები,—არ უნდა დასტოვონ თავისი ჩვეულებრივი სამოღვაწეო ასპარეზი და უნდა ემსახურებოდნენ ომის ინტერესებს, მოუწოდონ ხალხს, რომ მათ იბრძოლონ იაპონიის კაპიტალისტების ინტერესების დასაცავად.

სამობილიზაციო გეგმების დამუშავების დროს მხედველობაშია მიღებული არა მარტო გარეშე სახელმწიფოებთან ომი, არამედ შინაური — სამოქალაქო ომებიც.

# პასუხი შეკითხვებზე

**მუზაშლეელს.** რედაქცია ვერაფრით დაგეხმარებათ. ექიმმა თუ გიცნოთ სამსახურისათვის ვარგისად, სჩანს, რომ თქვენ იმდენად ავადმყოფი არ ყოფილხართ, რომ გაგანთავისუფლონ. იხმარეთ ექიმის მიერ გამოწერილი წამლები და თუ უკეთობა არ შეატყოთ, ხელახლად მიმართეთ, რომ გაგაგზავნონ საგარნიზონო კომისიაში.

**—ვ. ბიელს.** სამხედრო უწყებიდან დახმარება არ მოგეცემათ. დედათქვენმა გლეხკომის საშვალებით მიმართოს უზრუნველყოფის კომისარიატს დახმარებისათვის. თქვენ კი გაუგზავნეთ მას სამსახურის, ჯამაგირის რაოდენობის შესახებ მოწმობები.

# ხელოვნურად წვიმის მოყვანა.

მეცნიერება დიდ მიღწევებამდე მიდის ჭირნახულის გაუმჯობესებულად მოყვანისთვის საშვალებების გამონახვის საქმეში.

უკანასკნელ ხანებში დიდ გამოყენებაშია საზღვარ-გარედ ე. წ. ხელოვნური წვიმა. წვიმა მოყავთ ერთგვარი აპარატების საშვალებით, რომლებსაც მხოლოდ გერმანიაში ამზადებენ და იყენებენ კიდევაც.

საბჭოთა კავშირში ხელოვნური წვიმის გამოყენებისათვის ჯერ არსად მიუმართავთ.

მხოლოდ ს. ს. ს. ფ. რ. სახალხო კომისარიატის მელიორატიულ ინსტიტუტმა შეიძინა ამ რამოდენიმე ხნის წინად ასეთი აპარატი.

ეს აპარატი ამ ჟამად იგზავნება ინსტიტუტის მიერ აზერბაიჯანში და ალბად ჩქარა დაიწყება იქ ცდები ხელოვნური წვიმის მოყვანისათვის.

**ხელოვნური წვიმის მნიშვნელობა დიდია.**

ხელოვნურ წვიმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთ ადგილებში, სადაც გახშირებულია გოლვები. გოლვიან წლებში სითბოსა და სინათლის სიუხვის პირობებში, ხელოვნურად წვიმის მოყვანა დიდათ ასწევს მოსავლიანობას. დიდ როლს ითამაშებს ეს აპარატი ბამბის მოყვანის საქმეშიდაც ამიერკავკასიაში. ხელოვნური წვიმა ასეთ ადგილებში სასწაულებს მოახდენს.

ხელოვნური წვიმის უპირატესობა, მორწყვასთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიურად იხარჯება მოსარწყავად დანიშნული წყალი.

**აპარატი მარტივი აგებულობისაა.**

ხელოვნურად წვიმის მოსაყვანი აპარატები თითქმის ყველანი ძლიერ წააგვან ერთმანეთს თავისი აგებულობით. თითეული აპარატი შესდგება ცენტრგარე ძალის მქონე ფოლადის ჰალიუმინის მილების საქაჩებისაგან, რომლებიც მოთავსებული არიან ბორბლებზე. მანქანა ადვილად იშლება შემადგენელ ნაწილებათ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანისათვის.

წყლის წვიმის სახით გამომშვები მილები სხვა და სხვაგვარი სახისა და მოყვანილობის არიან და წყალსაც სხვა და სხვა ფორმით უშვებენ.

პირდაპირი ნაკადით წყლის გამოშვების დროს მილები ტრიალებენ განსაკუთრებული მამოძრავებლებით თავისი ღერძის გარშემო, წყლის წვეთები ეცემიან მიწაზე ყოველი მხრივ და ერთნაირად რწყავენ მილებისაგან შემცველ მიწის ზედა პირის სივრცეს.

აპარატის მთელი მოწყობილობა მეტად მარტივია. მით უმეტეს ადვილი იქნება ამ მანქანების დამზადება საბჭოთა კავშირში, თუ ეს პირველი ცდა, რომელიც აზერბეიჯანში მოხდება გამართლდა, მაშინ მრავალი უწყლო ადგილები აყვავდებიან ჩვენს რესპუბლიკებში და გავხდებით მოწამე მეტად ნაყოფიერი მოსავლის.

# შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის №130 მოწინავეში გაიპარა შემთხვევი შეცდომა. მეორე სვეტის თავში დაბეჭდილია: „დიდი მაის გაფიცვის მსვლელობამ და მისმა ბედმა დაგვანახა, რომ ინგლისის პროფმოძრაობის მთლიანი ფრონტი . . .

უნდა იყოს:

„დიდი მაისის გაფიცვის მსვლელობამ და მისმა ბედმ დაგვანახა, რომ ინგლისის პროფმოძრაობას ბელადებ მთლიანი ფრონტი. . .

—გაგლოშვილს. თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანების № 1520—24 წ. ტყიდან მასალა უნდა მოგეცეთ 25-75% დაკლებულ ფასებში, უკიდურეს შემთხვევაში უფასოდაც.

—ბაძვერაშვილს. თანახმად სამხ. სამსახურის შინა წესდებისა თმა მოკლედ უნდა გქონდეთ გაკრეჭილი.

—გობეჯიშვილს. 1903 წ. დაბადებულებთან ერთ გაგანთავისუფლებენ.

—გურულს. არ შეიძლება.

—მასვე. წვევად თუ ითვლებოდით, სამსახურის ... დეგ აღდგენილი იქნებით თქვენს უფლებებში.

—ჟღენტს. ორი წელიწადია სამსახურის ვადა.

—შალამბერიძეს. გეკუთვნით.

—გ. გეგენავას. პირველ დივიზიის შტაბს უნდა წა დგინოთ ფლოტში სამსახურის მოწმობა და კიდევ თუ ტომ იყავით გადაყვანილი არმიაში. შტაბმა კი თავის მხ ეს მოწმობები უნდა გადაუგზავნოს კ. წ. დ. არმიის სამ ველოში სამწყობრო ნაწილს.

# პასუხი სამხკორებს

დ. დოლიძეს. (6 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია: „ჩვენი საქმ ბა“ არ დაიბეჭდება. ასეთი შინაარსის წერილი იყო ჩ ზეთში. მოიწერეთ სხვაზე.

ალალიანს. (3ლეგიონი) თქვენი კორესპონდენცია კედლის მთე შესახებ, არ მიგვითითებს კონკრეტიულად თუ სად ცადო გილი თქვენს მიერ აღნიშნულ ნაკლულოვანებებს. დან. დენცია უფრო ზოგადი ხასიათისაა და ამით გა ავის სა როა მოიწეროთ უფრო გარკვევით.

მათულშველს. (2 ლეგ.), დ. თავბერიძეს და ქათამა თვალ-ყური ადევნოთ გაზეთს და უკვე მოთავს შესახებ ნულარ მოიწერებით წერილებს. თქვენ აღნიშნული ამბავის შესახებ იყო ჩვენს გაზეთ

პაპასკირს. (1-ლი ლეგ.) თქვენი ნაწერი მეტად გაუგე გარკვევით და მელნით. ეს წერილი არ გადის.

ზენობნელს. (პოლიტსკოლა) თქვენი—„პატარა ფელეტონ მოდგა.

ვალერის. (6 ლეგ.) წერილი ენერგიული მუშაკის შესახ სეთ ადგილობრივ კედლის გაზეთში. ჩვენთან არ გ

უშიძეს. (2 ლეგ.) და მეძველიას. (6 ლეგ.) წერილები: „არც ჩამოვრჩებით“ და „ჩვენი დრამ წრე“ არ გადის. ამის შესა თვითონ თქვენი წერილები იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთ ნუ გაიმეორებთ ერთ და იმავე საკითხზე წერილებს. მი რეთ ნაწილის ცხოვრებასა, მუშაობისა და სხვა დარგე შესახებ.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6 ქართ. მსრ. ლეგიონის მე-2 კომუჯრედში შემოტან აქვს განცხადება: პარტიის კანდიდატობიდან წევრად გადარიცხ შესახებ, ამხ. ჭავჭანიძე მიხეილ ვასილისძეს;

პარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ: ვალიევი ვასი ყავდინის-ძეს, 2) ტყემალაძე სერაფიონ მალაქიასძეს, 3) გლარჯ ვასილი ივანესძეს, 4) დოლუზაშვილი ილიკო გიორგისძეს. ზემო სახელებულ ამხანაგებზე თუ ვინმეს აქვს საწინააღმდეგო გვ ბეთ.

1-ლ ცალკე საკავშირო ასეულში შემოტანილი აქვს განცხ ბები პარტკანდიდატებს: 1) ივანე ჯოხაძეს (ქუთაისის მაზრა.), პორფილე ფილიპესძე პაპავას (ქუთაისის მაზრა ქალაქი სამტრედ 3) დონაძე, ვასილი ივანესძეს (ოზურგეთის მაზრა—ლ ურის თემის მცხოვრები.); კომკავშირის წევრებს: 1) გიორგი ს ნისძე დადუნაშვილს, (შორაპნის მაზ. ჩხარის თემის სოფ ოჩინ ნი), 2) ალექსი ტატოსძე ედოიძეს (თელავის მაზ. ფშავ ნის სოფ. ზემო ალვანიდან).

პირველი სამი თხოულობენ პარტიის წევრად გადარიცხ ხოლო დანარჩენ ორს კი სურთ გადარიცხულ იქნენ კ. პარტიის ნდიდატებად.

თუ ვინმეს რაიმე იცით უარყოფითი მათ შესახებ ვსთხო გვაცნობოს კომუჯრედში 10 დღის განმავლობაში.

# ჩვენი ნაწილების საყურა დღებოთ.

ზოგიერთ ჩვენს ნაწილებს 1-ლ ივლისს უთავ ბათ გაზეთების გზავნის ვადა, ზოგსაც კიდევ მოკ ხანში.

რედაქცია აცხადებს ყველა მათ საყურადღებო რომ თუ არ დააჩქარებენ გაზეთის გამოწერას, გამ წერილის ვადის გათავების შემდეგ გაზეთები აღ გაეგზავნებათ.

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3. პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.